ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- აგვისტოში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 10.3% შეადგინა.
- სექტემბერში წლიური ინფლაცია 12.3%-ს გაუტოლდა
- სექტემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.04%-ით გამყარების, ხოლო ევროს მიმართ 0.1%-ით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



აგვისტოში დადებითი ეკონომიკური ზრდა 10.3%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის აგვისტოში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 10.3% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 14.5% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპები შეინიშნება.





სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 12.3%-ს შეადგენს.

წინა წლის სექტემბერთან მიმართებით, 2021 წლის სექტემბერში ინფლაციის დონე 12.3%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ. ენერგიაზე, აირზე, ავეჯზე, საოჯახო ნივთებსა და სახლის მოვლაზე, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვაზე. 2021 წლის აგვისტოში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 11.7% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.



აგვისტოში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.
2021 წლის აგვისტოში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 45%-ით გაიზარდა, ხოლო ხარჯები 17.5%-ით. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 183 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 115 მლნ ლარით განისაზღვრა.



აგვისტოში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.
წინა წლის აგვისტოსთან მიმართებით, 2021 წლის აგვისტოში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 16.4%-ით მოიმატა და 39.2 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 29.1%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 6.5%-ით გაიზარდა.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



იანვარ-აგვისტოში, წინა წლის იმავე პერიოდებთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.

წინა წლის იანვარ-აგვისტოსთან შედარებით, 2021 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტი 26%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 21%-ით, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა თურქეთში (63%-ით), უკრაინაში (57%-ით), ჩინეთში (42%-ით), რუსეთში (42%-ით) და აზერბაიჯანში (22%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი ბულგარეთში (38%-ით), შვეიცარიაში (22%-ით) და ესპანეთში (15%-ით).

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა შეიმჩნევა ფეროშენადნობების (82.5%), ტრიკოტაჟის ნაწარმისა (63.9%) და თხილისა და სხვა კაკლის (58%) ჯგუფებში.





აგვისტოში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის აგვისტოში ფულადი გზავნილები 11.2%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 40.5%), რუსეთი (18.4%) და აშშ (12%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: ყაზახეთიდან (178%-ით), ყირგიზეთიდან (130%-ით), გერმანია (48%-ით), საფრანგეთიდან (27%-ით), იტალიიდან (20%-ით), ისრაელიდან (17%-ით), პოლონეთიდან (15%-ით) და აშშ-დან (12%-ით).



2021 წლის სექტემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 4,077 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის სექტემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4,077 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 8.3%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი - 1%-ით შემცირდა. 2021 წლის სექტემბერში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციებით 60 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა.



[2] საერთაშორისო რეზერვების ჯერადობა გაზომილია იმპორტთან მიმართებით.

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტრენდი შენარჩუნდა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2021 წლის აგვისტოში სარეზერვო ფულის მასა 6.4%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 17.5%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 18.6%-ს გაუტოლდა. სექტემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 12.3% შეადგინა.





აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, დეპოზიტებზე მცირედით გაიზარდა, ხოლო სესხებზე შემცირდა დოლარიზაციის მაჩვენებელი. 2021 წლის აგვისტოში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.22%-ული პუნქტით გაიზარდა და 60.2%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.29%-ული პუნქტით შემცირდა და 51.8% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2021 წლის აგვისტოში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.3%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი 1.2%-ით.





აგვისტოში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.1%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.3%-ული პუნქტით შემცირდა.

2021 წლის აგვისტოში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.3% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.4%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით 5.9% შეადგინა, 0.3%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის აგვისტოსთან შედარებით.



სექტემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ თითქმის არ შეცვლილა, ხოლო ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

2021 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.04%-ით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ - 0.1%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2021 წლის სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.8%-ით, ევროს მიმართ კი 1.9%-ით გამყარდა.

4. რეგიონული მიმოხილვა

სექტემბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, 2021 წლის სექტემბერში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 19.6% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთში (7.4%) და სომხეთში (8.9%). რაც შეეხება აზერბაიჯანს*, 2021 წლის ივლისის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6%-ით მოიმატა.





სექტემბერში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების უმეტესობა, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.
კერძოდ, 2021 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა თურქული ლირა (11.7%-ით), აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით) და სომხური დრამი (0.4%-ით), ხოლო რუსული რუბლი გამყარდა (3.9%-ით).

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ზრდა | კლება | ცვლილება < 1%

ცხრილი N1. *ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები*

		სექ 20	ოქტ 20	ნოე 20	დეკ 20	იან 21	თებ 21	მარ 21	აპრ 21	მაის 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ.21	სექ.21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი	-0.7	-3.9	-7.7	-7.9	-11.5	-5.1	4.0	44.8	25.8	18.7	9.9	10.3	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი	3.2	-2.3	-4.2	-5.1	-8.1	7.6	21.5	93.4	50.3	37.5	26.5	31.2	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია	3.8	3.8	3.8	2.4	2.8	3.6	7.2	7.2	7.7	9.9	11.9	12.8	12.3
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.50	9.50	9.50	9.50	9.50	10.0	10.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია	62.29	63.17	64.13	62.75	63.76	0.64	64.55	0.63	0.62	0.61	0.60	0.60	
	სესხების დოლარიზაცია	57.07	55.82	56.2	55.5	55.6	0.55	55.36	0.56	0.54	0.53	0.52	0.52	
სავალუტო სექტორი	გაცვლითი კურსი	3.17	3.22	3.31	3.29	3.30	3.31	3.34	3.44	3.38	3.16	3.13	3.12	3.12
	გზავნილები	192 721	181 729	169 937	199 679	149 754	161 382	188 171	194 057	187 714	201 898	208 428	204 893.0	
	ექსპორტი	331.3	312.6	301.1	325.7	224.5	267.7	325.7	377.7	340.0	350.7	386.3	338.2	
	იმპორტი	749.7	729.0	720.6	821.5	562.1	648.1	774.9	756.0	769.3	863.6	860.5	838.1	
	სავაჭრო ბალანსი	(418.4)	(416.3)	(419.5)	(495.8)	(337.6)	(380.4)	(449.3)	(378.4)	(429.3)	(512.9)	(474.2)	(499.9)	
	საერთაშორისო რეზერვები	3 764.4	3 777.0	3 751.1	3 910.6	4 101.6	4 076.1	4 101.3	4 136.3	4 153.5	3 918.4	3 872.7	4 116.7	4,076.6
ფისკალური სექტორი	შემოსავლები	985.5	1031.4	1100.8	1307.1	1186.77	983.23	1208.2	1006.6	1002.9	1482.2	1269.4	1296.6	
	მიმდინარე ხარჯები	1243.4	1211.7	1061.8	1642.2	1090.7	1108.3	1197.4	1344.7	1148.9	1271.98	1391.22	1113.9	
	კაპიტალური ხარჯები	501.6	377	312.2	730.2	151.1	222.7	245.8	250.2	222.8	496.1	243.1	308.1	

		სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20	იანვ 21	თებ 21	მარ 21	აპრ 21	მაისი 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ.21	სექ.21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N2. *აღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან. ცხრილ N2-ში ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.*

		სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20	იანვ 21	თებ 21	მარ 21	აპრ 21	მაისი 21	ივნ 21	ივლ 21	აგვ.21	სექ.21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

*****ცხრილი N3.*** *აღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან. ცხრილ N3-ში ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები შედარებულია წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.*